

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს ქ. ლანჩხუთში, ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 402 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 27.06.52.082 იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

გამყიდველი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

დასახელება - ქ. ლანჩხუთში, ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე 402 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

პრივატიზაციის ფორმა - საჯარო აუქციონი, იჯარის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

ქონების საწყისი საფასური - 4020 ლარი.

წლიური ქირის საწყისი ღირებულება, ქონების საწყისი საფასურის 60 % - 2412 ლარი.

იჯარის ვადა - 5 წელი

„უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე“ – რომლის ოდენობაც შეადგენს ქონების საწყისი საფასურის 30%-ს 1206 ლარი;

ბიჯი - 201 ლარი

აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი - 50 ლარი

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი - GE75BG000000778077200

მიმღები ბანკი - საქართველოს ბანკი (BANK OF GEORGIA)

განაცხადის მიღების ადგილი (მისამართი), ტელეფონი - ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37 ; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული; საკონტაქტო პირის ტელ: -599 45 44 62 ომარ ჯანაძე.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი – საკუთრების უფლება მიენიჭება იმ მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ წლიური ქირის ღირებულებას შესთავაზებს.

განცხადების მიღების ვადა - 2015 წლის 3 მაისიდან 2015 წლის 1 ივნისის ჩათვლით, ყოველდღე (არასამუშაო დღეების გარდა) 10:00 საათიდან 17:00 საათამდე (აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 13:00 საათამდე.)

აუქციონის ჩატარების თარიღი – 2015 წლის 1 ივნისი 15:00 სათი.

კომისიისადმი წარსადგენი დოკუმენტაცია -

ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების დასახელებას, ქონების საწყის ფასს, იჯარის წლიური ქირის საწყის ღირებულებას, რომელიც შეადგენს ქონების საწყის ფასის 60 %, რომლის იჯარით აღება სურს მონაწილეს.

ბ) „ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე ”- ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი (ბილეთის და უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე-ს საფასურის გადახდა უნდა მოხდეს გამყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

თანხის გადახდის პირობები - უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე - 1206 ლარი და მონაწილის ბილეთი - 50 ლარი გადახდილი უნდა იქნეს საჯარო აუქციონზე განაცხადის წარდგენამდე

აუქციონის დამატებითი პირობები:

1. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია იჯარის ფორმით აღებულ ქონებაზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების დაცვით.